

ფინანსური ანგარიშგება

01.01.2022 -31.12.2022

შპს სმარტ უნიონ

ბათუმი

09.29.2023

შპს სმარტ უნიონ-ი 445515087 რეგისტრირებულია საქართველოში 31.08.2017 წელს რეგისტრაციის მისამართი ბათუმი ხიხანის ქუჩა N19. კომპანიის დამფუძნებელი და 100 % წილის მფლობელია იონა წითელაძე, იგი ასევე არის კომპანიის დირექტორი და მართავს მას.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ელექტრო სამონტაჟო საქმიანობა ლიფტების მიწოდება მონტაჟით და ლიფტების ტექნიკური მომსახურება. კომპანია ცალკეული ხელშეკრულებების ფარგლებში ასევე აწვდის სხვადასხვა სამშენებლო სერვისებს. კომპანია მარაგების შევსებას ახორციელებს იმპორტირებით და მისი ძირითადი მომწოდებელია თურქული და ჩინური კომპანიები.

კომპანია ფინანსურ აღრიცხვას აწარმოებს მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად და წარდგენის ვალუტა არის ქართული ლარი.

შესავალი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება კომპანიამ შეადგინა 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობის მონაცემებზე დაყრდნობით, აღსანიშნავია რომ მითითებულ საანგარიშგებო პერიოდში კომპანიამ მიიღო არაერთი მსხვილი შეკვეთა, სამშენებლო სამონტაჟო სფეროში რომელთა შესრულებაც არ დასრულებულა იმავე საანგარიშგებო პერიოდში. ანგარიშგების წარდგენის მომენტისათვის კომპანია საქმიანობს შეუფერხებლად.

1. ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარების დროს ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. წარმოდგენილ 2022 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება შეადგენს 57,162.00 ლარს დარიცხული ამორტიზაციის გათვალისწინებით. რაც შედგება საქმიანობაში გამოსაყენებელი ინვენტარის, ავეჯისა და კომპიუტერული მოწყობილობებისაგან.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში მისგან ეკონომიკური სარგებელი. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებასა და ზარალში.

2. მარაგები

კომპანია მარაგების აღრიცხვას ახორციელებს თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯები. კომპანია სარეალიზაციოდ განკუთვნილი პროდუქციის შესყიდვას ახორციელებს კონკრეტული შეკვეთის საფუძველზე, ამიტომ მარაგების ანგარიშზე

აღრიცხავს ცალკეული პროექტების მიხედვით სამონტაჟო სამუშაოების ჩათვლით საბოლოო მიწოდებამდე.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

კომპანია გაყიდვებისათვის იყენებს როგორც წინასწარი გადახდის ასევე საკრედიტო მიწოდების პირობას და მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება. ბრუნვის მოცულობის ზრდასთან ერთად გაზრდილია დებიტორული მოთხოვნა და წლის ბოლო მონაცემით შეადგენს 296,623.00 ლარს.

3. სავაჭრო ვალდებულებები

საწარმო მომწოდებლებთან ურთიერთობისას ახორციელებს როგორც ავანსად გადახდილი თანხით საქონლის შესყიდვას ასევე სტანდარტული საკრედიტო პირობებით და ვალდებულებას პროცენტი არ ერიცხება. საწარმო ყოველი წლის ბოლოს ახორციელებს საკრედიტო ნაშთის გადაფასებას ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსის მიხედვით და მისგან გამოწვეული სხვაობა აისახება წლის მოგებასა და ზარალში.

4. ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

საანგარიშგებო პერიოდში კომპანიას სასესხო ვალდებულება არ ერიცხება. იგი პერიოდულად (საჭიროების მიხედვით) იყენებს მოკლევადიან საბანკო საგარანტიო წერილს რაზედაც დარიცხული ყველა დანახარჯი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც იგი გამოყენებულ იქნა.

5. ამონაგები

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან ან გაწეული მომსახურებიდან მაშინ აღიარდება როდესაც მყიდველს მიეწოდება საქონელი და გადაეცემა საკუთრების უფლება. ანგარიშსწორება მომხმარებლებთან ხდება როგორც გაყიდვისთანავე ასევე შემდგომი გადახდისა და ავანსად მიღებული თანხის პრინციპით.

6. მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებას. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ეფუძვნება წლის განმავლობაში განაწილებულ დასაბეგრ მოგებას. კომპანიამ 2022 წლის საანგარიშგებო პერიოდში დივიდენდად გაანაწილა 1,784,449 ლარი რაზედაც დაარიცხა და გადაიხადა 314,952 ლარი მოგების გადასახადი.

7. სავალუტო კურსის ცვლილებით გამოწვეული მოგება/ზარალი

2022 წელს ფულადი მუხლების გადაფასებით მიღებულმა ნეტო ზარალმა შეადგინა 38,183 ლარი.

2021 წელს ფულადი მუხლების გადაფასებით მიღებულმა ნეტო მოგებამ შეადგინა 12,350 ლარი.

მოგებისა და ზარალის ანგარიშგება

საქმიანობის შედეგები	31/12/2022	31/12/2021
ნეტო ამონაგები	6471582	1340456
საქონლის გაყიდვიდან	2449025	1340456
მომსახურების გაწევიდან	4022557	0
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
სხვა	0	0
გაყიდვების თვითღირებულება	-3221130	-705714
საწყისი მარაგები	0	0
მარაგების შესყიდვა	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	3250452	634742
სხვა საოპერაციო შემოსავალი	36560	22332
დასაქმებულთა ანაზღაურება	-589539	-415452
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-18772	-15986
საპროცენტო შემოსავალი	2459	0
საპროცენტო ხარჯი	-1229	-9521
იჯარის ხარჯი	-12711	-12728
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-155294	-102437
სულ საოპერაციო ხარჯები	-738526	-533792
საოპერაციო მოგება	2511926	100950
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და		
სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	0	0
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	0	0
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი		
ოპერაციებიდან	2511926	100950
მოგების გადასახადის ხარჯი	-314952	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	2196974	100950
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების		
რეზერვი	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი		
ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	2196974	100950
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	193753	-19836
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა',		
კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-1784450	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	618	112639
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	606895	193753

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2022	31/12/2021
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	473337	77235
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	296623	93977
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	805597	2877458
მარაგები	4813078	1222717
მზა პროდუქცია	0	0
სხვა	4813078	1222717
საინვესტიციო ქონება	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	0	0
ბიოლოგიური აქტივები	0	0
თვითღირებულების მოდელით	0	0
გადაფასების მოდელით	0	0
გუდვილი	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	0	0
ძირითადი საშუალებები	57162	95068
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0
სულ აქტივები	6445797	4366455
ვალდებულებები		
საიჯარო ვალდებულება	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	5643265	4172702
ანარიცხები	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	0	0
საგადასახადო ვალდებულებები	195637	0
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	0	0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	0	0
მიღებული გრანტები	0	0
სხვა ვალდებულებები	0	0
სულ ვალდებულებები	5838902	4172702
საკუთარი კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	116	116
საემისიო შემოსავალი	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	606779	193637
გადაფასების რეზერვი	0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	606895	193753
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	6445797	4366455
სულ მოკლევადიანი აქტივები	6445797	4366455
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	5838902	4366455

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2022	31/12/2021
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	8378136	5916253
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	133386	0
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-8115420	-6062894
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	396102	-146641
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	0	0
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	77235	223876
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	473337	77235

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2022 წლის ფინანსური ანგარიშგების გამოშვების შემდგომ კომპანიას მნიშვნელოვანი ცვლილებები ფინანსური აღრიცხვის პოლიტიკასა და საქმიანობაში, არ განუხორციელებია იგი სტაბილურად მიყვება არჩეულ გზას და ცდილობს გაზარდოს მოცულობები საქმიანობის მოცულობები.

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად ნებადართულია დირექტორის იონა წითელაძის მიერ 2023 წლის 29 სექტემბერს.

ანგარიშსწორების შევსებაზე პასუხისმგებელი პირები:

ბუღალტერი: ქეთი ჩხაიძე

ბუღალტერი: მარინე წითელაძე-მოსიძე